დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:
თავმჯდომარე: ლევან მადათოვი
წევრი: დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **204429341**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
  - [ ] გეგმიური
  - [ ] არაგეგმური
  - [ ] საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 14 თებერვლის №156025 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 27 თებერვალს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“. თავდაპირველად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №140 გადაწყვეტილებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა და განისაზღვრა 96 სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია „ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში.

<u>მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ შეიცვალა პროგრამის განხორციელების ფართი და პროგრამა ხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა.</u>

<u>აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის მიმდინარე სტატუსი ეწურება 2024 წლის 21 ნოემბერს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	96	87	70	17

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება - არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები; ინსტიტუტმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის № MIA 1 24 00145037 წერილით გაცემული მიწერილობა რომლითაც განისაზღვრა ღონისძიებების გატარება გრაფიკის შესაბამისად, არაუგვიანეს 2024 წლის 30 ივნისისა. ინსტიტუტმა წარმოადგინა რექტორის 2024 წლის 24 იანვრის №01-24/20 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი გასატარებელი ღონისძიების, განხორციელების ვადის და შესაბამისი რესურსის მითითებით. **დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.**

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.1 ამ ეტაპზე დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 2024 წლის 21 ნოემბრამდე, თუმცა აღსანიშნავია, რომ იჯარის მოქმედი ხელშეკრულება გაფორმებულია მოქმედი ავტორიზაციის ვადით, შესაბამისად, საგანმანათლებლო სტატუსის ხელახლა მოპოვების მიზნით განახლებული იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მომდევნო 6 წლის ვადით.

5.2.3.3. ჯიპას არ აქვს ფორმალიზებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიურება და წლიური ანგარიშების შეჯამება, დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა ანალიზის შესაბამისად დადგინდა რომ, ჯიპა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, თუმცა **რეკომენდირებულია** შემუშავდეს პროცესების ფორმალიზება და გაიწეროს შესაბამისი პროცედურები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ 2024 წლის 5 აპრილის N 02-24/51 წერილით წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია, რომ ჯიპა ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკს, რაც შეეხება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებას, წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N 001721324), რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული გურამ ფანჯიკიძის N1/პეკინის გამზირის N42ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1 დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ახალ მისამართზე: (ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა) საერთო ფართი: 1522.15 იჯარის ხელშეკრულება დადებულია 15.07.2021, მოქმედების ვადაა 30.11.2024 დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შიდა აზომვითი ნახაზი და სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი) დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: ფოიე, აუდიტორიები, ადმინისტრაციული სივრცეები, დასასვენებელი/სარეკრეაციო სივცრცე პროფესიული სტუდენტებისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახი, არქივი, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია: ამ ეტაპზე დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 2024 წლის 21 ნოემბრამდე, თუმცა აღსანიშნავია, რომ იჯარის მოქმედი ხელშეკრულება გაფორმებულია მოქმედი ავტორიზაციის ვადით, შესაბამისად, საგანმანათლებლო სტატუსის ხელახლა მოპოვების მიზნით განახლებული იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს მომდევნო 6 წლის ვადით.

5.1.1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განახლების პროცედურები და პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებელთა მიერ ამ რესურსით სარგებლობის უფლებები. კოლეჯი არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს ისარგებლონ კოლეჯის მატერიალური რესურსით, თუ ის დაკავშირებულია საგანმანათლებლო/შემეცნებით საქმიანობასთან. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას. პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და ინტერვიურებისას.

5.1.1.3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
ინსტიტუტის დებულების (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 27 მარტის ბრძანებით) მე-9 მუხლი არეგულირებს ლოჯისტიკის სამსახურის ფუნქციებს, კერძოდ, 9.2.5. პუნქტით თანახმად, სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა სანიტარული ნორმებისა და სისუფთავის დაცვა. ინსტიტუტში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისუფთავის დაცვას კოლეჯის როგორც შიდა, ისე გარე ტერიტორიაზე. ასევე, შინაგანაწესის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის N01-18/057 ბრძანებით) VII თავი ეთმობა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესებს. მე-6 მუხლის თანახმად, დასუფთავების შედეგად შეგროვებული ნარჩენები, ასევე, სასწავლო/ადმინისტრაციულ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები და ნივთები, რომელთაც დაკარგეს სამომხმარებლო ფუნქცია, ექვემდებარება შეგროვებას და ტერიტორიიდან გატანას. ტერიტორიაზე სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებაზე, გატანასა და გადაყრაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი.

5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

5.1.1.5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
დამტკიცებულია ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი წესი. დოკუმენტში PDCA პრინციპის გამოყენებით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც გულისხმობს პოლიტიკის დაგეგმვას, რისკების ანალიზსა და გეგმის შემუშავებას, აქტივობათა შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვებას, შეფასებასა და პროცესის განვითარებას. განსაზღვრულია პერსონალის ვალდებულებები, წარმოდგენილია რისკების შეფასების დოკუმენტი, ინსტრუქტაჟების ჩატარების აღრიცხვის ფორმები, სხვადასხვა მონაცემების აღრიცხვის ჟურნალის ფორმები და სხვა. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და მექანიზმები შესაბამისობაშია შრომის უსაფთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით მოცემული კატეგორიის დაწესებულებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ინსტიტუტს დასაქმებული ჰყავს 2 შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლებსაც ,,შრომის უსაფთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით უფლება აქვთ განახორციელონ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები.

5.1.1.6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

შინაგანაწესის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის N01-18/057 ბრძანებით) VII თავი ეთმობა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესებს. რომლის მიხედვითად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. ადმინისტრირებას უწევს კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი, რეგულაციის შესაბამისად ნედლეულისა და მასალების აღრიცხვა-გაცემაზე, შენახვაზე პასუხისმგებელმა პირმა - უნდა აკონტროლოს მასალებისა და ნედლეულის ვარგისიანობა, უზრუნველყოს უსაფრთხო შენახვა, განახორციელოს ნედლეულისა და მასალების აღრიცხვა აღრიცხვის უწყისების საშუალებით. გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაშია, ინსტიტუტის მიერ დადგენილ რეგულაციებთან.

5.1.1.7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ინსტიტუტი ახდენს რესურსების შეფასებას საამისოდ შემუშავებული რესურსების შეფასების ფორმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კოლეჯის პროგრამის განმახრციელებელ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულება მათ საჭიროებათა დადგენას და სასწავლო პროცესის შეუფერხებელ უზრუნველყოფას.

5.1.1.8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველაპროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ინსტიტუტს არ ჰყავს შშმ სტუდენტები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, კოლეჯში ხელმისაწვდომია შესაბამისი პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1.9. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

5.1.1.10. დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.
ინსტიტუტის ტერიტორიაზე სივრცეები იმგვარადაა განაწილებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, რომელიც იძლევა საშუალებას შეიქმნას დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეები. ტერიტორიაზე გამოყოფილია რეკრეაციული და შემოქმედებითი სივრცეები სტუდენტებისათვის; პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა.

5.1.1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. პსდ-ს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია;
- ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები და განვითარების გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
- პსდ-ს მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- სანიტარიული ნორმების დაცვის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროფესიულ სტუდენტებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
-

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.
1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები; ინსტიტუტმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის № MIA 1 24 00145037 წერილით გაცემული მიწერილობა რომლითაც განისაზღვრა ღონისძიებების გატარება გრაფიკის შესაბამისად, არაუგვიანეს 2024 წლის 30 ივნისისა.

ინსტიტუტმა წარმოადგინა რექტორის 2024 წლის 24 იანვრის №01-24/20 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი გასატარებელი ღონისძიების, განხორციელების ვადის და შესაბამისი რესურსის მითითებით და „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული გურამ ფანჯიკიძის N1/პეკინის გამზირის N42ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 24 იანვრის N01-24/20 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლითაც „შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადება“ - გასატარებელი ღონისძიების დასრულების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 30 ივლისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ 2024 წლის 5 აპრილის N 02-24/51 წერილით წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია, რომ ჯიპა ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკს, რაც შეეხება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებას, წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N 001721324), რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული გურამ ფანჯიკიძის N1/პეკინის გამზირის N42ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

5.1.2.2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას დაწესებულების ტერიტორიაზე. დაწესებლებაში მოქმედებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- დროულად მოუხმოს ექიმს;
- შეატყობინოს დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელს;
- არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა;
- აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება;
- აუცილებელობის შემთხვევაში გამოიძახოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კოლეჯის პერსონალი გადამზადებულია პირველად სამედიცინო დახმარებაში.

5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტთან 2023 წლის 27 დეკემბრის MIA 3 23 03823890 წერილით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2.4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. დაცვისა და უსაფრთხოების თანამშორმელი უზრუნველყოფს კოლეჯის სტუდენტთა, თანამშრომელთა და სტუმრების უსაფრთხოებას. კოლეჯის ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას. დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელი ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს კოლეჯში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია დაათვალიეროს სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები. დაცვისა და უსაფრთოების თანამშრომელი ვალდებულია გააკონტროლოს კოლეჯის შენობაში შემომსვლელი უცხო პირები. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, ამ მიზნით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს წესრიგის დაცვის მექანიზმებს, შრომის დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები და დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.1.1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
კოლეჯში ყველა სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით/ლეპტოპებით. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელ და გამართულ თითოეული კომპიუტერის ინტერნეტით და სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფაზე, რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენასთან. "IT ინფრასტრუქტურა იძლევა სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული პროცესების სრულყოფილად წარმართვის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1.2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

IT რისკების მართვას უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. რისკების შესამცირებლად კოლეჯის ქსელი დაყოფილია რამოდენიმე ვირტუალურ ქსელად. ასევე გამიჯნულია უსადენო ინტერნეტ კავშირიც, სტუდენტებისთვის და გარეშე პირებისთვის, რომელსაც შიდა რესურსებთან წვდომა აკრძალული აქვს. ასევე, კომპიუტერულ კლასებში არსებული კომპიუტერები ჩართულია დომენურ ქსელში და იმართება ცენტრალიზებულად. კოლეჯში არსებულ თითოეულ კომპიუტერი დაცულია შიდა ანტივირუსით. წარმოდგენილია ანგარიშები, რომლის მიხედვითაც დადგენილია კომპიუტერების, საბეჭდი მოწყობილობების, ასლგადამღებების, სკანერების, პროექტორების ტექნიკური მდგომარეობა. შემუშავებულია რეკომენდაციები ტექნიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესების მტკიცებულება და IT ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნული მექანიზმები აღწერილია ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკით.

5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

კოლეჯმა წარმოადგინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების“ დოკუმენტი, მასში გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დაცვის ძირითადი ასპექტები და მოიცავს შემდეგ საკვანძო საკითხებს: კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები, პროფესიული სტუდენტების ბაზის ადმინისტრირება, ვიდეოკონტროლისა და აუდიოკონტროლის განხორციელება, ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება, მონაცემთა სუბიექტის უფლებები. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნებისმიერი შეხვედრის შემდეგ, კოლეჯი წერილობითი ფორმით იღებს დამსწრე აუდიტორიისაგან ნებართვას ფოტო-ვიდეო მასალების გავრცელებაზე. ამავე დროს, კოლეჯის საინფორმაციო დაფებზე, სოციალურ ქსელში, კოლეჯის ვებ-გვერდზე არ იდება/იკვრება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია. პროფესიულ სტუდენტებს მათ მიერ მიღებული შეფასების შედეგები ეცნობებათ პირისპირ ან წერილობითი ფორმით, რასაც ადასტურებს როგორც მატერიალური დოკუმენტები, ასევე გასაუბრების შედეგები, შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

5.2.1.4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

IT ტექნიკის რეგულარული შემოწმებზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, ხარისხის მართვის მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ეფექტურობის ამაღლებისაკენ. წლიური ანგარიშებით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება რომ კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1.5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - სასწავლო და სამუშაო პერიოდში, ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით ან/და კომპიუტერების კლასებით ან/და გამოყოფილი სივრცეებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, უწყვეტი ქსელური ინტერნეტი და Wi-Fi. დაწესებულების თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ნებისმიერ დროს ისარგებლონ ქსელის ადმინისტრატორის მომსახურებითა და კონსულტაციით.

5.2.1.6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

პსდ- ში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, პროფესიული მასწავლებლისა და ადმინისტრაციისათვის შექმნილია დაწესებულების დომენით კორპორატიული ელ-ფოსტები, საკომუნიკაციოდ გამოიყენება კორპორატიული მობილური ქსელი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები, LMB- ბაზა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- ,,გრენასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
- ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2. პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; შინაგანაწესით განსაზღვრულია საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოება, დოკუმენტბრუნვა, მმართველობითი აქტების მომზადება და რეესტრის წარმოება, ხელშეკრულებების მომზადება და რეესტრის წარმოება, საარქივო საქმისწარმოება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. საქმისწარმოებაში გამოიყენება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა eDoc, ხდება შემოსული, გასული წერილების რექტორის ბრძანებების და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების აღრიცხვა.

5.2.2.2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და ასევე Edoc თანამშრომლების საქმიანი კომუნიკაციისა და დოკუმენტების მიმოცვლისთვის, რაც მოიცავს წერილის, სამსახურებრივი ბარათის მიმოცვლას როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა თუ სხვა ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო თუ ფინანსური კუთხით, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და მეილზე ხდება დაინტერესებულ პირთა და კოლეჯის ადმინისტრაციას შორის საქმიანი მიმოწერა. რაც შეეხება გასული და შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას, ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: თითოეული წერილი ელექტრონულ ფორმატში კონვერტირდება და ელექტრონულ ჟურნალში ტარდება, მატერიალურთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2.3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას; დაწესებულებაში დანიშნულია რეესტრის წარმოების სპეციალისტი, რომლის მოვალეობაა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციების დროულად ასახვა, გადამოწმდა ექსპერტების მიერ, გამოცემული აქტების შესაბამისად შეტანილი ინფორმაციები და ვადები.

5.2.2.4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმიწარმოების წესით“ დადგენილია შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ასევე დადასტურდა რომ კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა Edoc.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.
1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობებისშესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.2.3.1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

ა(ა)იპ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ორენოვანი ვებგვერდი https://gipa.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი წარმოადგენს საკომუნიკაციო პლატფორმას და ძირითადად გააჩნია საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ორივე პლატფორმის შემთხვევაში. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, კატალოგი, შესრულების ანგარიშები, მარეგულირებელი დოკუმენტები, ელექტრონული კატალოგი. განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა შესახებ, სტრუქტურის, მენეჯმენტის, ისტორიის შესახებ. ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც მუდმივად ტვირთავს სიახლეებს, ანონსებს შესაბამის ველში. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ინფორმაცია მიმდინარე ნებისმიერი საინტერესო აქტივობის, პროცესის, მიღების გამოცხადების, ცვლილებების, სიახლეების შესახებ დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ სოციალური ქსელის საშუალებით. კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე სიახლეების/ანონსების/ფოტო და განთავსებისას დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

5.2.3.2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ა(ა)იპ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისია ითვალისწინებს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კვლევითი საქმიანობის, აკადემიური და პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას. შესაბამისად, დაწესებულებას გააჩნია ორენოვანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ვებგვერდი https://gipa.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3.3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ჯიპას არ აქვს ფორმალიზებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიურება და წლიური ანგარიშების შეჯამება, დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა ანალიზის შესაბამისად დადგინდა რომ, ჯიპა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, თუმცა **რეკომენდირებულია** შემუშავდეს პროცესების ფორმალიზება და გაიწეროს შესაბამისი პროცედურები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში.

5.2.3.4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე და მასში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი განახლებულია 2023 წელს; ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, დაინტერესებულ პირს ის აწვდის მნიშვნელოვან მესიჯებს თუ რას წარმოდგენს დაწესებულება, რა რის მისი მიზანი, რისკენ მიისწრაფვის და რა გზით მიდი დასახული მიზნისკენ. კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების ისტორიის; დაწესებულების მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ;

5.2.3.5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას და ახლდება ყოველი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ჯიპას ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცვლილებების შემთხვევაში გონივრულ ვადებში ხორციელდება კატალოგის განახლება, რათა სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3.6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. საქართველოს რკინიგზის, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების, კოლეჯში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უკუკავშირი, მათი მოწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- https://gipa.ge/
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაწესებულებაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იგი მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა.
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	96
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.

მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი. ასევე 2 A სასწავლო გარემო. თითოეული აუდიტორია გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 24 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის
- 1 ერთეული მონიტორი;

პროგრამის განხორციელებისათვის ასევე გამოიყენება B სასწავლო გარემო გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 24 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- 1 ერთეული დაფა;
- 1 ერთეული პროექტორი და პროექტორის ეკრანი;
- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- 24 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;
- პრინტერი.

ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტისა.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 96 პროფესიული სტუდენტით. ამჟამად აქტიური სტუდენტია 87 სტატუსშეწყვეტილი-17 სტატუს შეჩერებული-70, კურსდამთავრებული-114.

აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 20 ორგანიზაციასთან ჯამში 141 პროფესიულ სტუდენტზე. ესენია: შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'' - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „აი სი პი“ - 3 პროფესიული სტუდენტი; შპს „ურბანა“ - 5 პროფესიული სტუდენტი; შპს ,,აბტ ინტერნეიშენალი'' – 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „იუ-ჯი-თი“ - 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „მაზა“ - 8 პროფესიული სტუდენტი; შპს „გეოკაპიტალი“ - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ - 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „CBD Development“ – 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 5 პროფესიული სტუდენტი; სს „სილქნეტი“ - 5 პროფესიული სტუდენტი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „ჯეო სეიფთი“ - 13 პროფესიული სტუდენტი; შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „საფკო“ - 3 პროფესიული სტუდენტი; შპს ,,კოსი''- 14 პროფესიული სტუდენტი; შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ - 5 პროფესიული სტუდენტი; სს „RMG Copper“ შპს „RMG Copper“ – 3 პროფესიული სტუდენტი; შპს ,,დეველორი“ - 7 პროფესიული სტუდენტი.

ვიზიტის პერიოდში მოხდა - შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'', შპს ჯეო „სეიფთი“, შპს „საფკო“ წარმომადგენლებთან გასაუბრება, ექსპერტთა შეფასებით პარტნიორი დაწესებულებების დამოკიდებულება და განწყობა დამაკმაყოფილებელია, მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევაში.

2.2.1.2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 47 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 39 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

2.2.1 3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

დაწესებულება შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, სადაც გაწერილია პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პერსონალის შერჩევის წესი.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.
დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების რექტორის ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.
ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში
საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას. ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) ვებ გვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ მე-3 მუხლის გათვალისწინებით სსსმ პირების წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით.თუმცა, აღნიშნულის საჭიროება არ დამდგარა და დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. შემოსავლის წყაროა სწავლის საფასური. სწავლის საფასურის 70% არის ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო 30% - ს იხდის თავად სტუდენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი, რენტაბელურობის ზღვარად მიჩნეულია 80 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტში რეალისტურადაა აღწერილი შემოსავლები და ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- დაწესებულების რექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანება „ა(ა)იპ ჯიპა- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება შევიდა 2021 წლის 30 ივნისის №51 ბრძანებით);
- ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ (იუს/22-010 03/14/2022) პრაქტიკის ობიექტთან - სს საქართველოს რკინიგზასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, დამტკიცებული ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით
- ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებული დაწესებულების რექტორის 2019 წლის 5 მაისის №01-19/100 ბრძანებით
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები - პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პედაგოგებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთაბ ინტერვიურების შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. ინსტიტუტი პროფესიული სტუდენტების გამოკითხვისა და ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თანამედროვე მასალები და მეთოდები, კერძოდ, დაწესებულებაში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

2.4.1.4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების საჭიროებების მიხედვით დგება სასწავლო გეგმა ან ხორციელდება მისი კონკრეტული მოდულის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელება. მათი ინფორმაციით სწავლის დრო მორგებულია სტუდენტებისთვის მისაღებ დროზე და არ არის შეზღუდული სამუშაო საათები, დაწესებულებას სპეციალური შიდა ელექტრონული პროგრამის (lms) საშუალებით აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი, 33 % იანი გაცდება იწვევს სტუდენტის მიერ მოდულის ხელმეორედ გავლის ვალდებულებას. სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება მოდულში არსებული ჩანაწერების შესაბამისად; სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევისთვის, მისი ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილების მიზნიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში კონკრეტული სტუდენტისთვის, რომელიც გარე მობილობით გადმოვიდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგის მიღწევა გარდა საწარმოო პრაქტიკისა, დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. აღნიშნული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის ოთხი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 20 ორგანიზაციასთან ჯამში 141 პროფესიულ სტუდენტზე. ესენია: შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'' - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „აი სი პი“ - 3 პროფესიული სტუდენტი; შპს „ურბანა“ - 5 პროფესიული სტუდენტი; შპს ,,აბტ ინტერნეიშენალი'' – 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „იუ-ჯი-თი“ - 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „მაზა“ - 8 პროფესიული სტუდენტი; შპს „გეოკაპიტალი“ - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ - 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „CBD Development“ – 5 პროფესიული სტუდენტი; შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ - 5 პროფესიული სტუდენტი; სს „სილქნეტი“ - 5 პროფესიული სტუდენტი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „ჯეო სეიფთი“ - 13 პროფესიული სტუდენტი; შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს „საფკო“ - 3 პროფესიული სტუდენტი; შპს ,,კოსი''- 14 პროფესიული სტუდენტი; შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ - 5 პროფესიული სტუდენტი; სს „RMG Copper“ შპს „RMG Copper“ – 3 პროფესიული სტუდენტი; შპს ,,დეველორი“ - 7 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულება საწარმოო პრაქტიკის მოდულის დაწყებამდე აფორმებს ხელშეკრულებას ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებთან შერჩევით, შეათანხმებს პრაქტიკის ხანგრძლივობას, პრაკტიკაში მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, მათ სამუშაო დატვირთვას და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს. ხელშეკრულებაში დანართის სახით მოცემულია იმ სტუდენტების შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც კონკრეტულ ორგანიზაციაში უნდა გაიარონ პრაქტიკა.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიურ უსაფრთხოების პირობების შექმნას/დაცვას. რაც შეეხება მოდულ საწარმოო პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სასწავლო გეგმა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

შეფასება დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი წესის შესაბამისად , რომელიც დაწესებულების რექტორის მიერაა დამტკიცებული. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI თავის მე-13 მუხლი მიხედვით, შეფასების ფორმატი აკმაყოფილებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. მარეგულირებელი წესი ასევე მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის შიდა მონიტორინგის მიდგომებსაც. მოდულით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან და შეფასების მიმართულებიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს ადგენს პროფესიული მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტირების შემდეგ ათანხმებს სწავლების კოორდინატორთან. დაწესებულება სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის იყენებს ორ არადიფერენცირებულ მიდგომას, სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევების გაუმჯობესებისთვის იყენებს განმავითარებელ შეფასებას და საბოლოო შედეგის დადასტურებისთვის იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოდულის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთხელ. ორჯერ მოდულის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს მოდული კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.

ვალიდაციის პროცედურა ითვალისწინებს განმსაზღვრელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტის გამოყენებას რომელიც შედგენილია განმახორციელებელი მასწავლებლის მიერ, შეთანხმებულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული სწავლების კოორდინატორთან. შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სავალდებულო ზოგადი და პროფესიული მოდულით გათვალისწინებული კრედიტები. შეფასების პროცესის განხორციელების სისწორეზე პასუხისმგებლობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერს. შერჩევითი პრინციპით ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ერთი მოდულის შეფასების ინსტრუმენტი მისი შედგენიდან გამოყენებამდე პროცედურების შესაბამისობა შიდა რეგულაციებთან. ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, დადასტურდა მისი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეტანილია ცვლილება და ასახულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობებით“ გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის მიერ შუალედური შეფასების ჩატარების ვალდებულებას.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს ;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს და წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

ა) ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია;

ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის წევრები. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლის შემდგომი რეაგირების მიზნით. ექსპერტების მოთხოვნით, დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის პაკეტი ერთ-ერთი მოდულის შეფასებისთვის. წარმოდგენილ პაკეტში არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანება, ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა და შეფასების ინსტრუმენტის შეფასების შედეგები.

დაწესებულებაში შეფასების პროცესისი ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში პროცესზე და განხორციელებაზე პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხს, ასევე ვერიფიკაციის დასკვნის მომზადებას, რაც შესაბამისადაა წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტაციის პაკეტში.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI თავის მუხლი 133 ის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების გაფორმება ხორციელდება უწყისით, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (LMB), რომელიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას ინახავს როგორც შეფასებასთან, ასევე მთლიანად სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებები დაცულია და ინახება სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პერსონალს, ვისაც აქვ წვდომა საკუთარ მონაცემებზე, თუმცა ზოგ პოზიციაზე მყოფ თანამშრომელს, მაგალითად პროგრამის კოორდინატორს აქვს უფრო მეტ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის XI თავის მიხედვით დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის. ასევე, განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასების შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში. სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში. დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, დამტკიცებული ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
- მონაცემთა ბაზა (LMB).

ზემოანიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.04.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: